საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2019 წლის ანგარიში

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, 2019 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შეჯამებას. ეს გახლავთ რიგით მე-7, წლიური შედეგების ამსახველი ანგარიში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს სურვილს, ვიყოთ გამჭვირვალე, ღია საჯარო სამსახური.

ჩვენი სააგენტო საზღვაო ინდუსტრიის ერთადერთი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოა, რომლის საქმიანობის სფერო მოიცავს:

- საქართველოს დროშის ქვეშ გემების რეგისტრაციას;
- დარეგისტრირებული გემების უსაფრთხოებას და უშიშროებას;
- საქართველოს ნავსადგურებისა და შემოსული გემების ზედამხედველობას;
- საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მოძრავი გემები მონიტორინგს;
- ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციას, ხოლო დაღვრილი ტვირთის შემთხვევაში დროულ ლიკვიდირებას;
- ზღვაზე საავარიო ინციდენტის დადგომის შემთხვევაში ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმოებას;
- მეზღვაურთა სერტიფიცირებას და მათი განათლების სისტემის ზედამხედველობას;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ქვეყნის პოციონიორება საერთაშორისო ასპარეზზე;
- საზღვაო კანონმდებლობის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
- საზღვაო ინდუსტრიაში ინოვაციური მიდგომებისა და პროექტების ინიცირებას.

2019 წელს, სააგენტოს გუნდის მიერ, დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული სფეროში არსებული გამოწვევევის დაძლევისათვის, ახალი, თანამედროვე, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი პროექტების ინიცირებისათვის და სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობის კეთილსინდისიერად და ეფექტურად შესრულებისთვის.

გთხოვთ, გაეცნოთ დეტალურ ანგარიშს:

მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტი.

- მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო ახორციელებს საქართველოში არსებული საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი ცენტრების აღიარებას, შეიმუშავებს ამ დაწესებულებების შემოწმების გეგმას, უწევს მონიტორინგს საზღვაო სასწავლებლებში მიმდინარე საკვალიფიკაციო გამოცდებს და უზრუნველყოფს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების კონტროლს.
- მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველო უზრუნველყოფს მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მომზადებას და გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის მეზღვაურისთვის სერტიფიკატების გაცემას და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გემის სამეთაურო და რიგითი შემადგენლობის პირის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება-ორგანიზებას და სხვა.

მეზღვაურთა სერტიფიცირება

დიაგრამა # 1-ზე წარმოდგენილია მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2019 წლის განმავლობაში გაცემული მოწმობების სტატისტიკა



დიაგრამა N2 - 2018-2019 წლებში გაცემული მეზღვაურთა მოწმობების სტატისტიკა



2019 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად ტესტირებაზე დარეგისტრირდა 22022 მეზღვაური, აქედან ტესტირება წარმატებით გაიარა 1642 მეზღვაურმა, ხოლო ვერ ჩააბარა 380 -მა. რაც შეეხება გასაუბრებას, გამსვლელთა საერთო რაოდენობა იყო - 627, 540 მეზღვაურის შემთხვევაში შედეგი იყო დადებითი, ხოლო 87 - ის - უარყოფითი.

საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებზე გაიცა 64 კურსის აღიარება. 2019 წლის განმავლობაში ზემოთხსენებულ სასწავლებლებში შემოწმებულ იქნა 3204 საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი კურსი, მსმენელების საერთო რაოდენობა კი შეადგენდა 28687 (გარდა პერსონალის გადამზადებისა და მეთევზე-მეზღვაურის კურსებისა).

2019 წელს აღიარების სერტიფიკატი გაიცა 4 სამედიცინო დაწესებულებაზე.

ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგები ჩატარდა შემდეგ დაწესებულებებში:

- შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი-ს საწვრთნელი ცენტრი;
- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „მეზღვაურთა სასწავლო საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი“;
- შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი“;
- შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“
- შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“
- შპს „მედიქლაბჯორჯია“;
- სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი 2010“
- სს „საზღვაო ჰოსპიტალი“
- შპს „საგიტარიუსი“

მეზღვაურთა განათლების სისტემის დახვეწა და დასაქმების ხელშეწყობა

- 2019 წელს, ექსპლუატაციაში ჩაეშვა მეზღვაურთა დასაქმების ხელშეწყობისთვის შექმნილი სპეციალური **ვებ-პორტალი** **www.georgianseafarers.gov.ge,** რომელიც უზრუნველყოფს პირდაპირ, გამჭვირვალე კომუნიკაციას მეზღვაურებსა და დამსაქმებლებს შორის. ვებ-გვერდზე ასევე ინტეგრირებულია სააგენტოს ონლაინ სერვისები, კერძოდ კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად გამოცდაზე ონლაინ-რეგისტრაცია;

- **საკრუიზო გემებზე დასაქმების ხელშესაწყობად,** სააგენტოსა და საერთაშორისო კომპანია "ქოლუმბია შიპმენეჯმენტს" შორის თანამშრომლობის საფუძველზე, მიმდინარე წელს შერჩეულ იქნა 9 ახალგაზრდა, რომლებსაც საშუალება მიეცათ დასაქმდნენ მაღალი კლასის საკრუიზო გემებზე;

- GIZ-თან თანამშრომლობის შედეგად, შემუშავდა **საზღვაო კულინარიის პროგრამის მოდული**. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ სასერტიფიკაციო კურსის გავლის შემდეგ დასაქმდნენ საოკეანო-სავაჭრო, თევზსაჭერ და საკრუიზო გემებზე გემის მზარეულის, გემის მზარეულის დამხმარეს და სამაგიდე მომსახურე პერსონალის პოზიციებზე;

- **კადეტების პრაქტიკით უზრუნველყოფასთან** დაკავშირებით ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა აჭარის მთავრობასთან, რომლის თანახმადაც 2020 წლიდან აკადემიის კურსდამთავრებულების პრაქტიკას საერთაშორისო ნაოსნობაში დააფინანსებს სააგენტო და აჭარის მთავრობა;

- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და საკრუინგო კომპანია ელ-ვიქტორს შორის გაფორმდა მემორანდუმი **კადეტების პრაქტიკით უზრუნველყოფასთან** დაკავშირებით. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში საერთაშორისო საზღვაო პრაქტიკას გაივლის და დასაქმდება აკადემიის 8 კუსრდამთავრებული;

- **მეზღვაურთა დასაქმების ხელშესაწყობად ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა ბრაზილიასთან და ქუვეითთან, სტრატეგიული თანამშრომლობის**

თაობაზე კი - გერმანიასთან. სულ სააგენტოს მემორანდუმი გაფორმებული აქვს 50 საზღვაო სახელმწიფოსთან, მათ შორის 19 ევროკავშირის წევრია;

- **2019 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები განიცადა საზღვაო საწვრთნელი დაწესებულებების და სამედიცინო დაწესებულებების ელექტრონულმა მოდულებმა:** გაუმჯობესების შემდეგ საზღვაო საწვრთნელი დაწესებულებების მოდულში დეტალური ინფორმაცია მოიპოვება ყველა მიმდინარე კურსის შესახებ და საშუალებას იძლევა ზედმიწევნით გადამოწმდეს ყველა კურსი, მისი ჩატარების დრო, ინსრუქტორი და დამსწრეთა რაოდენობა.

- **საზღვაო საწვრთნელი დაწესებულებების** მონიტორინგი კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდება 2020 წლის 1 იანვრიდან - მეზღვაურთა განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, მეზღვაურთა სასაწავლო-საწვრთნელ ცენტრებში სასწავლო პროცესის **ვიდეო-მონიტონგის სისტემა დაინერგა;**

- **საქართველო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ეგრეთწოდებულ თეთრ სიაშია STCW კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის** გათვალისწინებით 2019 წელს ზემოთხსენებეულ სიაში, IMO-ს წევრი 180 წევრიდან მხოლოდ 53 მოხვდა, მათ შორის საქართველო;

- სააგენტოს მხარდაჭერით 2019 წელს წარმატებით გაიარა აკრედიტაცია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პროგრამებმა, ხოლო ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა და ბათუმის უმაღლესმა საინჟინრო სასწავლებელმა „ანრიმ“ გაიარეს ავტორზაცია.

- 2019 წელს საზღვაო ტრანსპორტის **სააგენტომ დახმარება გაუწია გასაჭირში მყოფ 21 ქართველ მეზღვაურს.** ამათგან დადებითად გადაწყდა 17 მეზღვაურის საქმე და დანრჩენი 4 რჩება პროცესში;

საზღვაო განათლებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტები

- **ფოთში ახალი საზღვაო სასწავლებლის - - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალის დაარსება გადაწყდა.**სასწავლებელი გათვლილია 1000 სტუდენტზე და დასაქმდება 250-მდე პროფესორ-მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი. საქართველოს მთავრობამ უკვე გამოყო 6 მლნ. ლარი სასწავლებლისათვის გადაცემული ისტორიული შენობის რეაბილიტაციისათვის. მიმდინარეობს კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან სასწავლებლის შენობის საჭირო ინვენტარისა და ტექნიკური აღჭურვილობის, ახალი ტრენინგ-მოდულების შემუშავებისა და პერსონალის გადამზადებისათვის საჭირო დაფინანსების მოსაზიდად;

- სააგენტოსა და აჭარის მთავრობის თანამშომლობის საფუძველზე და დაფინანსებით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში **განახლდა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა სამანქანე განყოფილების ლაბორატორია;**

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მხარდაჭერით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში **საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საწვრთნელი აუზის მშენებლობა გადაწყდა,** რომლის ბიუჯეტი 1,600,000 ლარს შეადგენს;

მეზღვაურის საერთაშორისო დღე

უკვე მეცხრე წელია, რაც საქართველო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ 2010 წელს გამოცხადებულ პროფესიულ დღესასწაულს - მეზღვაურთა დღეს აღნიშნავს.

მეზღვაურის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა პროფესიული დღე მიულოცეს მამაცი პროფესიის ადამიანებს.

ღინისძიების ოფიციალურ ნაწილზე გაიმართა დაჯილდოების ცერემონია, სადაც პრეზიდენტის ღირსების ჯილდო გადაეცა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომელს და საზღვაო კოდექსის თანაავტორს - ლუიზა წვერავას და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულს - ნათია ლაბაძეს, რომელიც კაპიტნის სავახტო თანაშემწეა საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართულ მცურავ საშუალებებზე.

საზღვაო სფეროში შეტანილი წვლილისათვის ჯილდოები გადაეცათ ღვაწლმოსილ მეზღვაურებს, ასევე სანაპირო დაცვის დეპარტამენტის საპატრულო კატარღებს და პირად შემდგენლობას, რომლებმაც ცეცხლმოკიდებული კატრღა CARPE DIEM -ზე მყოფი მეზღვაურების სიცოცხელ გადაარჩინეს.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ელჩების სტატუსი მიენიჭა ქართველ მეზღვაურებს, რომლებიც მეზღვაურის პროფესიას გაუწევენ პოპულარიზაციას საქართველოს რეგიონებში.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრმა მოაწყო ავარიულად დაღვრილი ნავთობის შეგროვების სიმულაცია.

მეზღვაურის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, ბათუმის ნავსადგურის მე-10 ნავმისადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა მეზღვაურის სკვერი.

დღის განმავლობაში, ამ დღის აღსანიშნავად სხვადასხვა გასართობი აქტივობები მიმდინარეობდა ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე.

მეზღვაურთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული:

- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მხარდაჭერით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ფლენსბურგის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა

მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს ორმაგი სასწავლო პროგრამების დანერგვას საზღვაო საინჟინრო სპეციალობების მიმართულებით;

- ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა ასევე საზღვაო აკადემიასა სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შორის, რომლის მიზანს საზღვაო ლექსიკონის შექმნა წარმოადგენს.

საზღვაო უსაფრთხოება

საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) გემების შესვლა-გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ნავთობტერმინალსაც.

გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურებში:

2019 წლის განმავლობაში, საქართველოს ნავსადგურებში შემოსული იყო 1901 გემი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

გემის ტიპი	რაოდენობა
Gen.Cargo	579
Tanker	457
Container	433
Ro-Ro	235
Bulk Carrier	62
Passanger	22
Vehicle Carrier	22
Livestock	9
Tug Boat	8
Fish Carrier	48
High Speed Craft	0
Yacht	2
Gas Carrier	1
Research	1
LPG	21
Pilot Boat	1
სულ	**1,901**

დიაგრამა #4-ზე ნაჩვენებია საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობა 2013-2019 წლებში



დიაგრამა # 5-ზე წარმოდგენილია საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი (2019წელი)



ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლი

2019 წლის განმავლობაში სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებმა შეამოწმეს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) შემოსული 264 გემი, შენიშვნები აღმოაჩნდა 188 გემს. საანგარიშო პერიოდში მოხდა 9 გემის დაკავება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურში 4 გემის, ფოთის ნავსადგურში - 5 გემის. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ დიაგრამა №6.



საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრისაქართველოს სზღვაო ნავსადგურებში სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის პუნქტების (ბათუმი; ფოთი) გავლით სულ შემოვიდა 42 980 პიროვნება, გავიდა 41 724, შემოსვლაზე უარი ეთქვა 696 პიროვნებას, სულ გამოვლინდა 62 სამართალდარღვევა, უკან მობრუნდა 15 პიროვნება ხოლო დაკავდა 2 პიროვნება.

დიაგრამა # 7-ზე წარმოდგენილია სახელმწიფო საზღვრის კვეთა საქართველოს ნავსადგურებში (2019წელი)



საქართველოს ნავსადგურების უშიშროების უზრუნველყოფა

- 2019 წელს დამტკიცდა „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესების დამტკიცების შესახებ“ დებულება, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ნავმისადგომებთან გემების მოძრაობის წესები;

- საანგარიშო პერიოდში, აშშ-ს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საქართველოს ნავსადგურებში „გემების და ნავსადგურების უშიშროების საერთართაშორისო კოდექსის” (ISPS Code) შესაბამისობაზე აუდიტი ჩაატარეს. დასკვნის საფუძველზე აღინიშნა საქართველოს ნავსადგურების უშიშროების სამსახურების ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მაღალი დონე და შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან;

. საქართველოს ნავსადგურებში უსაფრთხოებისა და უშიშროების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს. მონაწილეობს აშშ-ს სანაპირო დაცვის „პორტების საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოწმდება საზღვაო უშიშროების დონე საქართველოს ნავსადგურებში, 2019 წელს აშშ-ს სანაპირო დაცვის დეპარტამენტმა სპეციალური ჯილდო “Excellency Award’’ გადასცა ქართულ მხარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პორტებში დამუშავებული ტვირთი და გემები აშშ-ს ნავსადგურებში უსაფრთხოდ არის ცნობილი.s

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

გემების რეგისტრაციასა და დროშის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემების ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- გემის რეგისტრაციის მოწმობის, ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების და რადიოსადგურის მოწმობის გაცემა;
- საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემებისათვის მინიჭებული სახმობი და ამოსაცნობი ნიშნის მონიტორინგი.

მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

გემების რეგისტრაციის სამმართველო აწარმოებს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული, საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების რეგისტრაციას საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში. 2019 წლის განმავლობაში საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

დიაგრამა N8 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია



დიაგრამა N9- 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები



2019 წელს, საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 რეგისტრულ ტონაზე ნაკლები 106 მცურავი საშუალება და 100 რეგისტრულ ტონაზე მეტი 17 ერთეული გემი.

დიაგრამა N10 - 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია



დიაგრამა N11- 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი



დიაგრამა N12- საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაცია



დიაგრამა N13- საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეესტრი



2019 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 23 მცურავი საშუალება - 5 საერთაშორისო ნაოსნობაში, ხოლო 18 ერთეული შიდა ნაოსნობაში. რეგისტირებული გემების ტონაჟმა შეადგინა 13,419 რეგისტრული ტონა;

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართ 2019 წელს გამოცემული ცირკულარები:

Circular N1/FSI Termination of registration in state ships registry of Georgia;

CircularN°3/FSI საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები;

CircularN°5/FSI Minimum standarts of health and safety on vessels sailing under the flag of Georgia;

CircularN7/FSI The international convention on civil liability for bunker oil pollution damage, 2001 (Bunker Convention) withdrawn by Circular N8/FSI;

Circular N8/FSI The international convention on civil liability for bukner oil pollution damage withdrawn by CircularN°30/FSI ;

Circular N9/FSI Activation, Deactivation and Disposal of 406 MHZ Satellite Emergency Position-Indicating Radio Beacon (EPIRB);

Circular N10/FSI IMB piracy reporting centre (IMB PRC) withdrawn by CircularN°29/FSI;

Circular N11/FSI Automatic Identification Systems (AIS) ;

Circular N12/FSI Approved global positioning satellite system (GPSS) equipment;

Circular N13/FSI Frequently, identification numbers, testing and disposition of satellite EPIRBs ;

CircularN°14/FSI Frequency, Identification Numbers, Testing and Disposition of Satellite EPIRBs;

CircularN°15/FSI Approved Global Positioning Satellite System (GPSS) Equipment;

CircularN°16/FSI Recognition of Flag State Inspectors;

Circular N17/FSI Requirements for recognizing flag state inspector;

CircularN°18/FSI Reporting requirements for Georgian flagged fishing vessels engaged in international navigation;

CircularN°19/FSI IMO Guidelines on Fatigue;

CircularN°20/FSI Bridge Navigation Watch Alarm System;

CircularN°21/FSI New Regulations with regard to Ship registration in State Ships Registry of Georgia;

CircularN°25/FSI New registration service for vessels under the Georgian Flag;

CircularN°27/FSI Procedures of appointment of ship surveyors in terms of maritime code of Georgia;

CircularN°28/FSI SUBJECT: Delegation of Authority;

CircularN°29/FSI SUBJECT: Transitional arrangements for the completion of the establishment of th e Long - Range Identification and Tracking (LRIT) System;

CircularN°30/FSI SUBJECT: Approval of Insurance companies and clubs outside the International Gro up of P&I Associations and Issuance of certificates of insurance or other financial security;

CircularN°31/FSI Subject: Requirements and application of Automatic Identification System (AIS) o n the fishing vessel engaged in international voyage;

CircularN°32/FSI Subject: New requirements for maintenance, thorough examination, operational testing, overhaul and repair of Lifeboats and rescue Boats, launching appliances and release gear (MSC.402(96)) and guidelines on safety during abandon ship drills using lifeboats (MSC.1/Circ.1578).

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

- საქართველოს ნავსადგურებში ტვირთბრუნვის გაზრდის ხელშეწყობისათვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინიციატივით გემთმფლობელებს მნიშვნლოვანი შეღავათები დაუწესდათ - იმ გემებს, რომლებიც საქართველოს წყლებში ერთი და იგივე შემოსვლის განმავლობაში რამდენიმე ნავსადგურში შევლენ, ნებისმიერ ნავსადგურში პირველადი შესვლისას მოუწევთ სააგენტოს მიერ გაწეულ მომსახურების საფასურის სრული ოდენობით გადახდა, ხოლო მეორე და შემდგომ ნავსადგურში შესვლის შემთხვევაში საფასური 50%-ით შეუმცირდებათ.

- მიმდინარე წელს შემუშავებულ იქნა იახტ კოდი - ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს ყველა ტექნიკურ მახასიათებელს და მოთხოვნას დასარეგისტრირებელი იახტების მიმართ. დღევანდლამდე მსგავსი ტიპის დოკუმენტი არ ყოფილა შემუშავებული.

LRIT სისტემასთან მიერთება

საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის სხელმწიფოებს შორის პირველი არაწევრი ქვეყანაა, რომელიც ევროკავშირის გემების შორ მანძილზე იდენტიფიკაციისა და მონიტორინგის სისტემას (LRIT CDC) მიუერთდა.

აღნიშნულ სისტემასთან მიერთებით საქართველოს გაუჩნდა შესაძლებლობა:

- ყოველ 6 საათში ავტომატურ რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია მისი დროშის ქვეშ მცურავი გემების შესახებ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან;
- მოთხონის შესაბამისად მიიღოს ინფორმაცია ევროკავშირის წყლებში მცურავ ნებისმიერ გემზე, რომელიც გაივლის ჩვენი საზღვრიდან 1000 საზღვაო მილის ფარგლებში, მათ შორის იმ გემებზეც, რომლებიც ცურავს დროების ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდებარე წყლებში;
- ევროკავშირის LRIT სისტემაში ჩართვით ხელი მიგვიწვდება მსოფლიო მასშტაბის საერთაშორისო ქსელთან და მის წევრ სახელმწიფოებთან ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის კუთხით.

აღნიშნულ სისტემასთან მიერთებით, მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს შესაძლებლობები საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ზღვაზე ძებნა-გადარჩენის და ზღვის გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

ევროკავშირის ქვეყნების შორ მანძილზე გემების იდენტიფიკაციისა და მონიტორინგის სისტემა დღესდღეობით მსოფლიოს გლობალურ LRIT სისტემაში ჩართული ყველაზე თანამედროვე და მსხვილი მონაცემთა მართვის ცენტრია, რომელიც დღის განმავლობაში 8000 გემს უწევს მონიტორინგს.

ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნის და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას მის განკარგულებაში არსებული სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში კი გარეშე რესურსების მოზიდვით. ახორციელებს 24 საათიან მორიგეობას რადიო ეთერში GMDSS სისტემის A1 და A2 საზღვაო რაიონებში სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით. ატარებს და მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივ და საერთაშორისო ძებნა-გადარჩენის ოპერაციების და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში; უწევს გემებს 24 საათიან საინფორმაციო მომსახურებას - მნიშვნელოვანი სანავიგაციო ინფორმაციით გემების დროულ უზრუნველყოფას; სანავიგაციო დახმარებას - გემებზე გადაწყვეტილების მიღების დასახმარებლად და ეფექტური მონიტორინგისათვის, განსაკუთრებით რთულ სანავიგაციო და მეტეოროლოგიურ პირობებში ან სხვა საგანგებო შემთხვევებში; ასრულებს გემების მოძრაობის ორგანიზებას - საშიში სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით გემების შემდგომი გადაადგილების დაგეგმვას, რაც ითვალისწინებს გემების მოძრაობაზე დაკვირვებას. მეკავშირე ოფიცერი უზრუნველყოფს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლობას ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრში (სუფსა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღის განმავლობაში.

2019 წელს დაფიქსირებული მონაცემები:

1. **პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი და ტრანზიტული) ----------3643.**

2. **საზღვაო ინციდენტები პასუხისმგებლობის SAR რაიონში ----------67.**

3. **საზღვაო ინციდენტები პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ ----------7 .**

4. **გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) ტესტური შესტყობინება - 1**

5. აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა -6.

6. CleanSeaNet სისტემიდან მიღებული ნავთობის დაღვრის განგაშის შეტყობინებების სტატისტიკა --- 132

7. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ნავსადგურების აკვატორიებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრის მიერ ჩატრებული ოპერაციების რაოდენობა ---------- 4532.

8. გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ქვეცენტრების მიერ ჩატარებული ოპერაციების სტატისტიკა

ქვეცენტრი	ზონაში შესვლა	ზონიდან გასვლა	რეიდიდან ნავმისადგომთან	ნავმისადგომიდან რეიდზე	სულ:
ბათუმი	592	578	182	43	1395
ფოთი	986	1040	679	51	2756
ყულევი	193	188	166	13	560

საანგარიშო პერიოდში საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის მიერ ჩატარებული აქტივობები:

- პერიოდულად ტარდებოდა ძებნა-გადარჩენის საკომუნიკაციო წვრთნები სამგზავრო გემებთან;
- ყოველკვარტალურად ტარდებოდა ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირებისთვის მზადყოფნის წვრთნები განგაშის გამოცხადებისას ბათუმის ნავსადგურში;
- დეპარტამენტის წარმომადგენლები მუდმივად მონაწილებდნენ საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში;
- ყოველკვარტალურად მონაწილეობდა შავი ზღვის საერთაშორისო საკომუნიკაციო წვრთნებში - BLACK SEA BRAVO;

საქართველო საერთაშორისო საზღვაო სამაშველო ფედერაციის (IMRF) წევრი გახდა

საქართველო საერთაშორისო საზღვაო სამაშველო ფედერაციის (IMRF) სრულუფლებიანი წევრი გახდა.

IMRF წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ზრუნავს მსოფლიოში ზღვაზე ძებნა-გადარჩენის (SAR) შესაძლებლობების განვითარებასა და ზღვაზე უბედური შემთხვევის პრევენციაზე;

IMRF მსოფლიო მასშტაბით 113 წევრს აერთიანებს და ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში კონსულტანტის სახელი აქვს ზღვაზე ძებნა-გადარჩენის საკითხებთან დაკავშირებით.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს:

- წევრ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას, სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას;
- საძიებო-სამაშველო სამსახურების კონსულტირებასა და ტექნიკურ დახმარებას;
- მხარს უჭერს ახალი საზღვაო საძიებო და სამაშველო სამსახურების ჩამოყალიბებასა და განვითარებას;
- უზრუნველყოფს წვრთნებისა და სწავლებების ჩატარებას საზღვაო საძიებო და სამაშველო ოპერატიული უნარების განვითარებისათვის;
- ზღვაზე უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უსასყიდლოდ გადასცა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ძენა-გადარჩენის კატარღა და გემი.

გემების ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის ეროვნული ქსელის (AIS) შექმნა

შავი და კასპიის ზღვების ავტომატური საიდენტიფიკაციო მონაცემების ურთიერთგაცვლის საპილოტე პროექტის ფარგლებში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გაიმარჯვა ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს საგრანტო პროექტში. მიღწეული შედეგების გამო, ევროპოს საზღვაო უსაფრთხოების სააგენტომ უსასყილოდ გადმოგვცა ორი საბაზო (სახმელეთო) ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის სადგური და ერთი მართვის სადგური ოპერატორის სამუშაო ადგილთან ერთად.

ერთი სადგური უკვე დამონტაჟდა და გაეშვა სამუშაო რეჟიმში ბათუმში, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე. ხოლო სისტემის მართვის სადგური განთავსდა საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრში. ხოლო მეორე სადგური განთავსდბა ანაკლიაში. აღნიშნული სისტემა გვაძლევს საშუალებას საქართველოს სანაპირო ზოლი სრულიად იქნეს გაკონტროლებული კიდევ ერთი თანამედროვე ტექნიკური საშუალებით.

საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრში მოქმედი გემების მონიტორინგის სისტემის ავტომატური საიდენტიფიკაციო მიმღები სადგური და ევროკავშირის დახმარებით მიღებული საბაზო (სახმელეთო) ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის სადგურები ქმნიან ერთიან ეროვნულ AIS ქსელს, რაც ქვეყანას საერთაშორისო მოთხოვნებსა და ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივების შესრულების შესაძლებლობას აძლევს.

ძებნა-გადარჩენის ეროვნული წვრთნები (SAR)

2019 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ორგანიზებით ძებნა-გადარჩენისა და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის ეროვნული წვრთნები (GEO SAR & OSR EX 2019) გაიმართა.

წვრთნებში ჩართული იყო ექვსი გემი, ოთხი კატარღა, ორი ბუქსირი და ერთი შვეულმფრენი.

ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნავთობის მე-2 დონის დაღვრასთან ბრძოლისთვის მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობის შემოწმებას. ასევე კომპეტენტური ორგანოების კოორდინირებული მოქმედებების

დამუშავებას ზღვაზე ადამიანის ძებნა-გადარჩენის ოპერაციის, ავარიული გემებისთვის დახმარების გაწევის ფართობასშტაბიანი ოპერაციის ორგანიზებისა და ზღვასა და ხმელეთზე ნედლი ნავთობის დაღვრის ლიკვიდაციის სრულმასშტაბიანი ოპერაციის ჩატარების დროს.

ნაციონალურ წვრთნებს საპატიო სტუმრების რანგში ესწრებოდნენ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ძებნა-გადარჩენის რიგით მე-15 კონფერენციის (15th Black Sea Search and Rescue Conference) მონაწილეებიც, რომელთა შორის არიან უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის და თურქეთის ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციებზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლები, გერმანიის ზღვაზე ძებნა-გადარჩენის სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი და ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) წარმომადგენლები.

საერთაშორისო ურთიერთობები/საერთაშორისო პროექტები

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო წარმოადგენს საქართველოს საზღვაო სფეროს ეროვნულ-ტექნიკურ მარეგულირებელ ორგანოს, რომლის უმთავრესი ამოცანაა, საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იმიჯის და ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სააგენტოს თანამშრომლები სისტემატურად ესწრებიან საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების სხდომებს. სააგენტო, საქართველოს სახელით აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

საქართველოს საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტი

2019 წელს საქართველომ საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება დაიწყო.
ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტები, საქართველოს დაეხმარებიან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად დირექტივების იმპლემენტაციასა და საზღვაო სტრატეგიის შემუშავებაში.
პროექტის ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობს შემდეგ დირექტივებზე:

- საქართველოს საზღვაო სტრატეგია;
- სამგზავრო გემების უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების შესახებ;
- სატვირთო გემებზე ტვირთის უსაფრთხო ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის ჰარმონიზებული მოთხოვნები და პროცედურები.
- დოკუმენტზე მუშაობა დაწყებულია 2019 წლის მარტში და დასრულდება 2020 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, აღნიშნული დოკუმენტის შექმნისათვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილ იქნა 200,000 ევრო.

დოკუმენტის საშუალებით, ინდუსტრიის კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები შეძლებენ სფეროს განვითარებისათვის რაციონალურად განსაზღვრული მიმართულებების უფრო ეფექტურად განვითარებას და ოპტიმიზაციას

აღსანიშნავია, რომ აქამდე ქვეყანას მსგავსი დოკუმენტი არ გააჩნდა.

ერთი ფანჯრის პრინციპი საქართველოს ნავსადგურებში

საქართველოს ნავსადგურებში ერთი ფანჯრის (Single Window) პრინციპის დანერგვის მიზანია საპორტო სექტორში ციფრული სამთავრობო სერვისების შეთავაზება და ბიოროკრატიული ბარიერების, ასევე არასაჭირო დოკუმენტაციისაგან გემის დამუშავების პოცესის გათავისუფლება. საქართველოს მთავრობამ აღნიშნული მიმართულება პრიორიტეტულად გამოაცხადა.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ 2018-2019 წლებში განახორციელა პროექტის შემუშვება და შესაძლო დონორების იდენტიფიცირება. პროექტის პირველი ეტაპის - „საჭიროებების კვლევა“ დაფინანსების სურვილი გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში. პროექტის პირველი ეტაპის საერთო ღირებულება შეადგენს - 93 000 აშშ დოლარს და მის განსახორციელებლად საერთაშორისოს ტენდერში გაიმარჯვა ქართულმა კომპანია „დევგეითი“.

პროექტის შესაბამისად ერთიან ციფრულ პლატფორმაში კოორდინირებულად იმოქმედებს შემდეგი უწყებები:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, რომელიც იქნება წამყვანი უწყება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის - საბაჟო დეპარტამენის ბათუმის, ფოთისა და ყულევის საბაჟო გამშვები პუნქტები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - მიგრაციის დეპარტამენტი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა და ერთობლივი საზღვაო ოპერაციების ცენტრი;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს;
- საქართველოს ნავსადგურები;
- კერძო საზღვაო კომპანიები.

ერთი ფანჯრის პრინციპი პირველ რიგში საჭირო არის სახელმწიფოში მომავალი და წამსვლელი გემების და პირების, ასევე ტვირთის შესახებ ზუსტი და დროული ინფორმაციის მოძიებისათვის. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოში სულ უფრო იზრდება სანავსადგურე სექტორში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა და შემომავალი და გამავალი გემების ოდენობა. საბოლოო ჯამში, პროექტის განხორციელების შემდეგ გემის გაფორმების პროცესი უნდა

დავიდეს 1 საათზე ნაკლებ დრომდე. ქვეყნის მომავალი ევროინტეგრაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის ვაჭრობის სფეროს ინტეგრაცია საერთო ევროპულ ერთი ფანჯრის სისტემაში, რომელში ჩართვაც საქართველოს მოუტანს სტრატეგიულ უპირატესობას რეგიონის ქვეყნებთან შედარებით. კერძოდ, ელექტორნულ ფორმატში გემის, ტვირთის და ეკიპაჟის დამუშავება მოხსნის დამატებით ფიზიკურ ბარიერებს ევროპულ ნავსადგურებში, რაც კიდევ ერთი დადებითი მოვლენა იქნება საქართველოს და ევროპული ეკონომიკების თავსებადობისთვის. გამარტივებული და ავტომატიზებული ბიზნეს-პროცედურები მნიშვნელოვნად დაზოგავს ადამიანურ რესურსებს და მოგვცემს საშუალებას უმოკლეს ვადაში იქნეს მიღწეული შედეგები. პროექტი იძლევა საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და მიმზიდველი საზღვაო სექტორის შექმნის შესაძლებლობას.

საზღვაო ფინანსების მოდელის დანერგვა ქართულ საბანკო სექტორში

საზღვაო ფინანსები საბანკო სექტორში შემავალი, კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტების მქონე ცალკეული მიმართულებაა, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაო ინვესტიციების მოზიდვას. ეს არის მსოფლიოში მრავალი წლის მანძილზე აპრობირებული მეთოდი, რომელსაც წამყვანი ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ საზღვაო ინვესტიციების დასაფინანსებლად. საზღვაო ფინანსების თანახმად, რაც ნიშნავს საზღვაო ინვესტიციას, დაინტერესებულ პირებს, ანუ პოტენციურ გემთმფლობელებს ეძლევათ შესაძლებლობა აიღონ სესხი გემების შესაძენად. სესხის გაცემა/მიღებამდე კი ორთავე მხარე გადის რიგ კომპლექსურ პროცედურებს

რაც შეეხება ქართულ საბანკო სექტორს, საბანკო ფინანსირება წარმოადგენს აუთვისებელ სეგმენტს, მაგრამ გამომდინარე ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალიდან და მასშტაბური პროექტებიდან მიზანშეწონილად ვხედავთ მისი განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული პირდაპირპროპორციულად იმოქმედებს საქართველოს დროშის განვითარებაზე, ქვეყნის იმიჯზე საერთაშორისო დონეზე, ხელს შეუწყობს ქართულ ბაზარზე საერთაშორისო დონის კომპანიების დაფუძნებას, ყოველივე ეს კი თავის მხრივ, გააძლიერებს ზოგადად ინდუსტრიას და გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობასაც.

2019 წლის მარტის თვეში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, საზღვაო ფინანსირების მოდელის ქართულ ბაზარზე დანერგვის ხელშესაწყობად განახორციელა დარგის

საერთაშორისო ექსპერტების მომსახურების შესყიდვა. ექსპერტებმა გაცნობითი სახის სემინარი ჩაუტარეს საქართველოს ბაზარზე მოქმედი ბანკების ტოპ-მენეჯერებს, ხოლო სექტემბერში, ბელგიაში შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან - BNP PARIBAS. მიმდინარეობს შემდეგი შეხვედრის პროგრამის დამუშავება საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმის ფარგლებში.

გემთმშენებლობის დარგის აღდგენა/განვითარება

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, აქტიურად მუშაობს საქართველოში გემთმშენებლობის დარგის განვითარებისათვის. მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანას, გემთმშენებლობის გამოცდილება წარსულში ჰქონდა, დღესდღეობით, საქართველოში არსებული სპეციალიზირებული საწვრთნელი ცენტრები კი იძლევა საშუალებას პერსონალისათვის უზრუნველყოფილ იქნას გემთმშენებლობის/გემთშეკეთებისთვის საჭირო სწავლებები.

2019 წლის იანვარში, დავოსში გამართულ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ეკონომიკისა დამდგრადი განვითარების მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდგომ, საქართველოში ინვენსტირების ინტერესი გამოხატა საერთაშორისო გემთმშენებელმა კომპანია - **DAMEN**-მა.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში, კი ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს კომპანიის სათაო ოფისში, სადაც განხილულ იქნა საქართველოს მხარის მიერ მომზადებული საინვესტიციო შეთავაზება. დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები თანამშრომლობის შემდგომ საკითხებთან დაკავშირებით.

2019 წლის დეკემბერში შეხვედრა გაიმართა ასევე მსხვილ გემთმშენებელ კომპანია **FINCANTIERI**-სთან, სადაც კომპანიას მიწოდებულ ექნა ინფორმაცია საქართველოში არსებულ ბიზნეს გარემოზე და გემთმშენებელი/გემთშემკეთებელი საწარმოს შექმნის საჭიროებაზე. კომპანიამ ინტერესი გამოხატა საქართველოს მიმართ, და მიმდინარეობს ვიზიტის თარიღების დაზუსტება.

ქალთა როლის გაძლიერება საზღვაო სფეროში

- 2019 წლის 11-12 თებერვალს, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობას, ქალთა საერთაშორისო სანაოსნო და სავაჭრო ასოციაციის საქართველოს წარმომადგენლობასა და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შორის გაფორმებული სამმხრივი ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, გენდერული აუდიტის ჯგუფმა გენდერული თანასწორობის აუდიტი ჩაატარა. აუდიტი ჩატარებულ იქნა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით. თანამონაწილობითი აუდიტის მიზანი იყო, შეეფასებინა თუ რამდენად ითვალისწინებს ორგანიზაცია ადამიანური რესურსების მართვის პროცესში გენდერულ ასპექტებს;
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2019 წლის კამპანიის - Empowering Women in the Maritime Community - ფარგლებში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარდგინებით 3 ქართველი გოგონა სწავლას განაგრძობს საზღვარგარეთ ისეთ პრესტიჟულ საზღვაო სასწავლებლებში როგორიცაა - საერთაშორისო საზღვაო სამართლის ტრიბუნალის ბაზაზე არსებული საზღვაო სამართლის საერთაშორისო ფონდის აკადემია, მალტის საერთაშორიოს საზღვაო სამართლის ინსტიტუტი და მსოფლიო საზღვაო უნივერსიტეტი;
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ გერმანულ კომპანია „ქოლუმბია შიპმენეჯმენტი“-ს შორის თანამშრომლობის შედეგად საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ საკრუიზო გემებზე დასაქმების. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საბაზისო წვრთნისა და პერსონალის გადამზადების კურსებს შერჩეული 20 გოგონასთვის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო უზრუნველყოფს. საანგარიშო პერიოდში შეირჩა 15 კანდიდატი, რომლებიც უახლოეს მომავალში შეძლებენ დასაქმებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 1 ქალბატონი სააგენტოს მხარდაჭერით უკვე დასაქმდა საკრუიზო გემზე.
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზაციის ექსპერტებმა, საქართველოში არსებული საზღვაო სასწავლებლების ინგლისური ენის 25-მდე ქალ პედაგოგს IMO მოდელ კურსების შესაბამისად საზღვაო ინგლისურის ტრენინგი.

აკადემიური საკონსულტაციო კომიტეტი

2019 წელს, მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეულში, აკადემიური საკონსულტაციო კომიტეტის რიგით მესამე შეხვედრა გაიმართა, რომლის შექმნის მიზანს საზღვაო საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება, ქართველი მეზღვაურების დასაქმების კუთხით არსებული პრობლემების იდენტიფიცრება და მათი ეფექტურად გადაჭრის გზების დადგენა წარმოადგენს.

შეხვედრას საზღვაო სასწავლებლებთან ერთად საკრუინგო და გემთმფლობელი კომპანიების ხელმძღვანელი პირები და დამოუკიდებელი ექსპერტები ესწრებოდნენ, შეხვედრის პროგრამა კი შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს აერთიანდებდა:

- ქართველი მეზღვაურების განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები და განვითარების პერსპექტივები;
- ქართველი მეზღვაურების დასაქმებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები;
- ქართველი მეზღვაურების დასაქმების არეალის გაფართოების შესაძებლობები;
- კადეტთა დასაქმების გაზრდის შესაძლებლობები

საკანონმდებლო საქმიანობა

2019 წელს საქართველო მიუერთდა ორ საერთაშორისო კონვენციას:

- „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და მათი ბარგის გადაზიდვების შესახებ“ 2002 წლის ათენის კონვენციას;
- „1988 წლის პროტოკოლი, საერთაშორისო კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ 1966 წლის ცვლილებათა გათვალისწინებით“.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო:

- „საქართველოს საზღვაო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი.
- „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი.

მომზადდა და მიმდინარეობს უწყებრივი განხილვები შემდეგ კანონპროექტებზე:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ პროექტი;
- „მეზღვაურთა საზღვაო შრომის კონვენცია - MLC სარატიფიკაციო პროცედურების ინიცირების პროექტი.

„ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ - ასოცირების შეთანხმების საფუძველზე 2019 წელს მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი დირექტივა/რეგულაციების დანერგვაზე:

- „1999 წლის 29 აპრილის საბჭოს 1999/35/EC დირექტივა რეგულარული სატრანსპორტო საშუალებების გადამზიდავი ბორნის უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის სავალდებულო შემოწმების სისტემისა და მაღალსიჩქარიანი სამგზავრო გემის მომსახურებების შესახებ“

- „2001 წლის 4 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/96/EC დირექტივა რომლითაც ჩამოყალიბდა სატვირთო გემებზე ტვირთის უსაფრთხო

ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის ჰარმონიზებული მოთხოვნები და პროცედურები“

- 1999 წლის 21 ივნისის საბჭოს 1999/63/EC დირექტივა, რომელიც ეხება „მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“
- 1999 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/95/EC დირექტივა გაერთიანების ნავსადგურებში შემოსული გემების ბორტზე მეზღვაურთა სამუშაო საათებთან მიმართებით დებულებების ამოქმედების თაობაზე.
- 2009 წლის 6 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/45/EC დირექტივა სამგზავრო გემების უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების შესახებ“.
- „2010 წლის 20 ოქტომბრის 2010/65/EU დირექტივა გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ნავსადგურებში შემოსული ან/და ნავსადგურებიდან გასული გემების ფორმალობებთან დაკავშირებული ანგარიშების შესახებ"

„2000 წლის 27 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/59/EC დირექტივა ნავსადგურში გემების მიერ გენერირებული და ტვირთების ნარჩენების მიმღები მოწყობილობების შესახებ“.

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

- 2019 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებული იყო 122 ადამიანი, რაც შეეხება მაჩვენებლებს გენდერულ ჭრილში, შეიძლება ითქვას, ბალანსი დაცულია, სააგენტოში დასაქმებულია მდედრობითი სქესის - 41, და მამრობითი სქესის - 81 ადამიანი (მამაკაცი თანამშრომლების სიმრავლე ამ შემთხვევაში განპირობებულია სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკით, იგულისხმება ზღვაზე ძებნა გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის და ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის თანამშრომლები);

- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, გასცა 8 წერილი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.

- 2019 წელს, კონკურსის წესით განხორციელდა 8 ვაკანტური პოზიციის შევსება;

- 2019 წელს, სააგენტოს 63 თანამშრომელმა გაიარა სპეციალური კურსები/წვრთნები/სწავლებები კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

- საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონისა და დადგენილება 381 შესაბამისად, 2019 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ განხორციელდა მომსახურების შესყიდვა სააგენტოს ყველა თანამშრომლის დაზღვევასთან დაკავშირებით.

ISO 9001:2015/ISO 27001

2018 წელს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ წარმატებით გაიარა გერმანული სასერტიფიკაციო ორგანიზაცია “TUV SUD” სარესერტიფიკაციო აუდიტი, და შეინარჩუნა ხარისხის მართვის ISO 9001:2015 სერტიფიკატი. 2019 წელს, შეუსაბამობების დაფიქსირების გარეშე ჩატარდა ზემოთხსენებული ორგანიზაციის სადამკვირვებლო აუდიტი. სააგენტოში მუდმივად მიმდინარეობს კონტროლი ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტის ისო 27001 დანერგვასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტი და შიდა აუდიტორები, რომლებმაც სტანდარტის დასანერგად გაიარეს შესაბამისი ტრენინგები. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა:

- აქტივების იდენტიფიცრება
- აქტივებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება
- იდენიტიფიცირებული აქტივების კლასიფიკაცია;
- ისო 27001 პოლიტიკისა და ასფეროს დოკუმენტი;
- ისო 27001 დანერგვის პროექტი

სააგენტოში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების მოთხოვნებს და ევროკავშირის სავალდებულო დირექტივებს, რაც განაპირობებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებების მაღალ დონეს.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის 13 თებერვლიდან საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად შრომის უსაფრთხოების შესახებ მოთხოვნების დანერგვა დაევალა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. 2019 წლის თებერვლიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარისხის უზრუნველყოფის ინიციატივით განხორციელდა შემდეგი:

- ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მოხდა სააგენტოს პერსონალის მინიმალური სადაზღვეო პაკეტით უზრუნველყოფა რაშიც ასევე მოიაზრება თანამშრომლების დაზღვევა უბედური შემთხვევისგან;
- ასევე, მოწვეულ იქნა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახური, რომელმაც ჩაატარა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის ინსპექტირება და შეადგინა ღონისძიებების ნუსხა, რომლის დანერგვაც საჭირო იქნება 2020 წლის ბოლომდე;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოძიებულ იქნა შესაბამისი უწყება, სს „ნ. მახვილაძის სახელმწიფო შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი," რომელმაც ჩაატარა „შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია საწარმოო გარემოს ფაქტორებისა და სამუშაოს მავნეობისა და საშიშროების მიხედვით" მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, ბუნებრივი და ხელოვნური განათების მდგომარეობა შესწავლილ იქნა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 20 სამუშაო ოფისში;
- 2019 წელს გაფორმდა ხელშეკრულება რის შედეგადაც 2019 წლიდან ყოველთვიურად ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ლიფტის საექსპლუატაციო პირობების შემოწმება;
- შრომის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნის შესაბამისად , შრომის უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების, ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის განხორციელების მიზნით შრომის უსაფრთხოების საკითხებში სააგენტოს დასაქმებულთა წარმომადგენელ პირად განისაზღვრა სააგენტოს ცალკეული თანამშრომელი ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოდან;
- შემოწმდა დეცენტრალიზებულ ოფისებში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლებისთვის შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფა.

- 2019 წლის ივნისის თვიდან სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში განისაზღრა აფთიაქებზე პასუხისმგებელი პირები რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული პირები ანგარიშვალდებულნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე. ანგარიშის წარდგენისთანავე ხარისხის სამსახური დროულად უზრუნვეყოფს სააგენტოს პერსონალის წამლებით მომარაგებას სააგენტოს პერსონალისთვის.
- შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საინფორმაციო გამაფრთხილებელი ნიშნულების განთავსება სააგენტოში;
- 2019 წლის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის მიერ ხელახლა ჩატარდა ბაზრის კვლევა, ,მოხდა და ტენდერის ინიცირება და მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია 2020 წლის სადაზღვევო პაკეტის შეძენის მიზნით. ასევე, გაცნობითი მიზნის ჩატარდა პრეზენტაციები ბათუმის, ფოთისა და ყულევის დეცენტრალიზებულ ოფისებში.

ინფორმაციული უსაფრთხოება

ხარისხის უზრუნველოფის სამსახური 2019 წელს აქტიურად შეუდგა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვას, რისთვისაც გაიწერა დანერგვის ეტაპობრივი გეგმა და 2019 წლის განმავლობაში გეგმის თანახმად შემუშავდა და განხორციელდა შემდეგი:

- სამუშაო ჯგუფთან ერთად მოხდა აქტივების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია, ფასეულობის დადგენა, კრიტიკულობის კლასის დადგენა და იდენტიფიცირების მართვის წესის შემუშავება;
- რისკების მეთოდოლოგიის შემუშავება, განხილვა, დამტკიცება და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული სამუშაო ფორმების შემუშავება;
- დოკუმენტთა მართვის და შიდა აუდიტის პროცედურებში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება;
- ჩატარდა შიდა აუდიტი და ანგარიში და მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმა და გაეგზავნა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს.

სააგენტოს შემოსავლები

წარმოგიდგენთ 2019 წლის შემოსავლებს დღგ-ს გარეშე

შემოსავლები ეკონომიკური ნაკადებით დღგ-ს გარეშე 2019 წელი	**7 196 507**
მ.შ მეზღვაურთა დეპარტამენტი	**739 171**
მ.შ საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი	**3 893 259**
- ნავსადგურები	3 359 647
- სალოცმანო სამსახურების მომსახურება	533 611
ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მონიტორინგი	2 404 101
მ.შ გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი	**159 977**

ასევე წარმოგიდგენთ 2018 წლის შემოსავლებს დღგ-ს გარეშე

შემოსავლები ეკონომიკური ნაკადებით დღგ-ს გარეშე 2018 წელი	**6 525 473**
მ.შ მეზღვაურთა დეპარტამენტი	**947 315**
მ.შ საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი	**3 278 745**
- ნავსადგურები	2 843 227
- სალოცმანო სამსახურების მომსახურება	435 518
ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მონიტორინგი	**2 113 576**
მ.შ გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი	**185 837**

2019 წლის ჯამური შემოსავლები 9.32% აღემატება 2018 წლის შემოსავლებს ეკონომიკური ნაკადებით დღგ-ს გარეშე.

მნიშვნელოვანი შემოსავლების ზრდა შეინიშნება შემდეგ მუხლებზე:

- ნავსადგურებიში წინა წლის მონაცემებთან მიმართებაში ფიქსირდება 15,37 %-იანი ზრდა;
- სალოცმანო მომსახურების წინა წლის მონაცემებთან მიმართებაში ფიქსირდება 22.52 %-იანი ზრდა ფიქსირდება;
- ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მონიტორინგის წინა წლის მონაცემებთან მიმართებაში ფიქსირდება 13.75 %-იანი ზრდა;

რაც შეეხება მეზღვაურთა დეპარტამენტისა და გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპრატამენტის მიერ გაწეულ მომსახურებებს შეინიშნება კლების ტენდენცია 2018 წელთან მიმართებაში, კერძოდ:

- მეზღვაურთა დეპარტამენტის შემოსავლების 2018 წლის მონაცემებთან მიმართებაში აღინიშნება კლება 21.97 %-ით.;
- გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტის შემოსავლების 2018 წლის მონაცემებთან მიმართებაში აღინიშნება კლება 13.92 %-ით.

<u>იხილეთ დიაგრამები სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შემოსვლების (დღგ-ს გარეშე 2018-2019 წლების მონაცემები)</u>





საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

www.mta.gov.ge